



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030160829085214

№ 01-123/თ

23 / მაისი / 2014 წ.

დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების)  
„დღენაკლულ ახალშობილთა ინტრავენტრიკულური ჰემორაგიის სკრინინგი,  
დიაგნოსტიკა და პოსტჰემორაგიული ვენტრიკულური დილატაციის მართვა“,  
„ჰიდროცეფალიის სკრინინგი, დიაგნოსტიკა და მართვა პედიატრიული ასაკის  
პაციენტებში“ დამტკიცების თაობაზე

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 27 მარტის N94/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. დამტკიცდეს:

ა) დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - „დღენაკლულ ახალშობილთა ინტრავენტრიკულური ჰემორაგიის სკრინინგი, დიაგნოსტიკა და პოსტჰემორაგიული ვენტრიკულური დილატაციის მართვა“ - თანდართული რედაქციით (დანართი N1);

ბ) დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - „ჰიდროცეფალიის სკრინინგი, დიაგნოსტიკა და მართვა პედიატრიული ასაკის პაციენტებში“ - თანდართული რედაქციით (დანართი N2).

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

დავით სერგეენკო